შინაური საქმეები

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№ 4.

ᲙᲕᲘᲠᲐ, ᲛᲐᲘᲡᲘᲡ 4, 1908 Წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.

ნახევარი წლით— 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკათ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ივ. გომართლის იპიბოჭია (გაგრძელება)—სანმანიანისა; სარწმუნოების უარის მყოფელნი ჩვენში—სეფეველელისა; სასიკეთო ნიშანი—სარკინელისა; რა მოაქვს უღმრთოებას?—ალექსი ბერისა; ცრუ ბრძენებს (ლექსი)—ონოფრე მწირისა; ლექცია—ბოსლეველისა; ცრემლის ხევი—მღვ. ვლ. ფ—ძისა: აბრეშუმის ჭიის მოვლა—ნ. მკურნალისა; ძვირფასი ამხანაგის მოგონება.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 7 კ. აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

ᲘᲕ. ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲞᲘᲑᲝᲭᲘᲐ.

(სული თუ ტვინი?)

გაგრძელება.[1])

იმის დასამტკიცებლად, რომ ტვინია მოაზრე და არა სული, ბ. გომართელს მოჰყავს მაგალითი ავათმყოფის ქლოროფორმით დაძინებისა, როდესაც ადამიანი ჰკარგავს გრძნობიერებას. როგორც ექიმმა, გაჭმარიელმა კარგათ უნდა იცოდეს, რომ ქლოროფორმი საწამლავია და თუ ცოტა მეტი მოუვიდა ადამიანს, საუკუნოთაც დააძინებს. ქლოროფორმს, როგორც ყოველგვარ საწამლავს, შეუძლია ისე მოადუნოს სხეული, რომ მის მიერ სულმა ვეღარ გამოიჩინოს თავის ძალები. სიპერეც ერთგვარი საწამლავია, რომელიც ადუნებს სხეულს და აცლის მას ღონისძიებას სავსებით გამოაჩინოს სულის მდგომარეობა. სხეულს რომ სიცოცხლის ძალა დაეკარგება, რა თქმა უნდა, სულის მოძრაობას ჩვენ ვეღარ შევნიშნავთ. სული ჩვენთვის უხილავი ხდება და მხოლოდ თითონ იცის თავის მდგომარეობა.

ესევე ითქმის ყოველგვარ სხეულის ნაკლულევანებაზე, რომელიც უშლის სულს გამოიჩინოს თვისი ძალები. ამ მხრივ ადამიანის სული მოგვაგონებს საპყრობილეში ჩამწყვდეულ ადამიანს რომელსაც ხედვაც შეუძლია, სმენაც, მაგრამ მას ნებას არ აძლევს საპყრობილის კედლები გამოიჩინოს ეს ნიჭები. ამის მიზეზით გომართელი ვერ იტყვის, რა თქმა უნდა, საპყრობილეში კაცი არ არისო. სხეული, როგორც ძველები ამბობდენ სწორედ საპყრობილეა სულისა. ჯერ კიდევ პლატონ ფილოსოფოსმა სთქვა, ჩვენ საპყრობილეში, მაღაროში ვცხოვრობთო. და აი სწორედ ჩვენი სხეული თავისი გრძნობების იარაღებით არის ის მაღარო, ის საპყრობილე, რომელშიდაც სცხოვრობს სული და რომლის მეოხებით იგი ვერ იჩენს თავის ნიჭებს. თუ ეს მართალია, თუ საღი სხეულიც არ არის სრული გამომეტყველი სულისა, რაღა უნდა ითქვას ქლოროფორმით მოწამლულ სხეულზე!?..

რაც შეეხება საიქიო ცხოვრებას, რომელსაც ადგილზე თუ უადგილოთ აჩრის ბ. [illegible] თელი, ამაზე ლაპარაკი მასთან [illegible]

[1]) იხ. „შინაური საქ.“ № 3

ლვევად მიმაჩნია ქრისტეს მცნებისა, რომლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მარგალიტი არ უნდა დაუყარო უგნურებს, რომ თავისი უწმინდური ფეხით არ გასრისონ ჯერ იგი და მერე თვით შენ. ამიტომ ამის შესახებ ვსდუმთ...

მხოლოდ მორწმუნეთა სანუგეშოთ მოვიყვანთ, რამოდენიმე მაგალითს, რომლისგანაც მტკიცდება, რომ არსებობს საიქიო ცხოვრება და კაცსაც აქვს უკვდავი სული. წინდაწინვე ვიტყვით, რომ ამ მაგალითებს გომართელი და მისი ამხანაგობა ზღაპარს დაუძახებენ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგინი ყველაფერს ზღაპარს ეძახიან, რაც არ ეთანხმება მათ ვიწრო და ცალმხრივ შეხედულებას. თუ დასჭირდათ გამოჩენილ ისტორიულ პირსაც უარს ჰყოფენ და ზღაპრად გამოაცხადებენ, როგორც ამას მოქმედობს მათი მთავარპაპა ბებელი. ქეშმარიტი მეცნიერი კი არ უარჰყოფს ფაქტს, არამედ ცდილობს შეიგნოს იგი, გამოიკვლიოს. ვინც ასე არ იქცევა იგი არც მეცნიერია და არც გონიერი არსება, და მისი უარყოფა ამისთვის უმნიშვნელოა.

წინდაწინვე უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ არ მოვიყვანთ მაგალითებს არც წმიდანების და არც სასულიერო პირთა ცხოვრებიდგან, რომ არ იფიქრონ,—განძრახ გამოგონილიაო. აი ეს მაგალითებიც:

მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის შეგდაგებას და საიქიო ცხოვრების არსებობას.

იმპერატორ პავლეს ჩვენება.

1798 წლის დასაწყისში, როდესაც დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული მეათე შვილზე უნდა მორჩენილიყო, იმპერატორ პავლეს წარუდგენ საზამთრო სასახლეში პეტერბურგელ რასკოლნიკების წარმომადგენელნი, რომ მადლობა გამოეცხადებიათ იმ მფარველობისათვის, რომელსაც უწევდა იგი მათ. ვაჭარმა მილოვმა მიართვა მთავარ ანგელოზის მიხაილის ძველი ხატი ოქროთი მოჭედილი. მეფემ მოწყალედ მიიღო დეპუტაცია; ხატი თავის სამუშაო ოთახში დასვენებინა და ზეთი აანთებინა. დაძინებისას იმპერატორი დედოფლის ოთახიდგან დაბრუნდა თავის ოთახში, დედოფლის ავათმყოფობამ დიდ საგონებელში ჩააგდო იმპერატორი. ლრმად დაფიქრებული დაჯდა იგი საკარძელში და თავისი ლამაზი ცისფერი თვალები მიაშტერა მთავარ ანგელოზის ხატს. უეცრივ წყნარი შრიალი მოესმა, რომელმაც გამოარკვია იგი ფიქრისაგან; მან აიხედა ზევით. კარებთან იდგა მოხუცი, ბერის ტანისამოსში, ლამაზი მაგრამ დაღარული სახის, გრძელ-თეთრწვერიანი.

— რას იტყვი ბატონო? ჰკითხა მან უცნობს.

— შენი ცოლი გაჩუქებს შენ ძეს მიხეილს. ამავე სახელს დაარქმევ სასახლესაც, რომელსაც აშენებ შენი დაბადების ადგილზე. დაინახსოვრე ჩემი სიტყვები: „სახლსა შენსა შვენის სიწმიდე უფლისა სიგრძესა შინა დღეთასა“. ამ სიტყვების შემდეგ უცნაური სტუმარი გაჰქრა კარს უკან, როგორც მოეჩვენა იმპერატორს.

28 იანვარს დედოფალი მორჩა და ეყოლა ვაჟი, რომელსაც პავლეს სურვილისამებრ უწოდეს სახელად მიხეილი. როდესაც ზარბაზანმა აცნობა ქალაქს ხელმწიფის შვილის დაბადება, მეფის საყვარელმა გრაფმა ქუთაისოვმა მოახსენა მას, რომ მორიგ სადარაჯო რაზმის აფიცერს აქვს მასთან რაღაც საიდუმლოდ მოსახსენებელიო.

— „გამომიგზავნე“, უთხრა პავლემ ქუთაისოვს.

— პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს უდიდებულესობას, მოახსენა აფიცერმა, რომ სადარაჯო ადგილზე, რომელიც ეჭირა დარაჯს ნანენბურგის პოლკისას, მოხდა არა ჩვეულებრივი შემთხვევა.

— რა მოხდა?

— დარაჯმა უთუოდ სიცხის გამო, მომახსენა მე რაღაც ჩვენებაზე. ვიღაც მოხუცი ბერი, იმ დროს, როცა დედოფალი მორჩა ძეობით, მიუახლოვდა დარაჯს და უთხრა: „გაახსენე მეფეს, რომ ახალდაბადებულსაც მიხეილი დაერქვას და ახალ აშენებულ სასახლესაც.

— გამომიგზავნეთ დარაჯი! ბრძანა მეფემ.

დარაჯმა კანკალით უამბო ნანახი ჩვენება. ხოლო მეფემ ბრძანა:

— ვიცი, ვიცი... ეს უკვე შესრულებულია!

— მეფემ აფიცერი ანნას ორდენით დაჯილდოვა და სალდათსაც უხვი საჩუქარი უბოძა.

მეორე დღეს მეფემ მოიხმო ხუროთ მოძღვარი ბრენო—უმთავრეს ფრონტტონზე, რომელიც იტალიის ქუჩისკენ გადის—უბრძანა მეფემ—გააკეთე ეს წარწერა. ამასთანავე მისცა მას ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზედაც მისი საკუთარი ხელით ეწერა:

„სახლსა შენსა შვენის სიწმიდე უფლისა საგრძესა შინა დღეთასა“.

ისტორიკოსი რომელიც მოგვითხრობს ამ ამბავს, ამბობს, რომ ზემო აღნიშნული წარწერის ასოების რიცხვი, რომელიც დღესაც დაცულია მიხეილის ციხეზე, ედარება იმ წელთა რიცხვს, რამდენხანაც იცოცხლა პავლემ (47) (отъ 1754—1801)

(Н. А. Карышевъ „жизнь и смерть ст. 39). (ребусъ 1887 г. стр. 386).

ჩვენება რუსეთის დედოფლის ანნა იოანეს ასულისა.

ერთი ნათესავთაგანი ჩემი ბაბუისა თ. ანდრია ნიკოლოზის ძის შჩერბატოვისა,—გადმოგვცემს გრაფინია ა. ა ბლოვდოვისა (русск. архив· 1889 г. кн. 1)—ხშირად იტყოდა ხოლმე დედოფალ ანნას ცნობილ უცნაურ ჩვენებაზე, როგორც დამსწრე და თვალით მნახველი ამ ჩვენებისა.

რამდენიმე დღის წინეთ, სანამ დედოფალი ანნა მოკვდებოდა, მისი (შჩერბაკოვის) ამხანაგი იყო სადარაჯო რაზმში, რომელიც სცვიდა სასახლეს. ეს მოხდა სასახლეში, რომელიც იდგა ფონტანკაზე, ანიჩკინის ხიდთან. სადარაჯო რაზმი სატახტო დარბაზის ახლო ოთახში იდგა; დარაჯი იდგა დარბაზის გაღებულ კარებთან. დედოფალი უ ვე გავიდა თავის მოსასვენებელ ოთახებში. ფეხის ხმა მიწყნარდა. შუალამე გადასული იყო. აფიც რი მიჯდა, რომ ცოტა წაეთვლიმა. უეცრად დ რაჯმა ნიშანი მისცა, სალდათები ფეხზე წამოცვივდენ და აფიცერმა შპაგა (ხრმალი) ამოიღო პატივის მისაცემად. იგი ხედავს, რომ დედოფალი დადის ჩაფიქრებული, ხელები უკან აქვს მოდებული და არავის ყურადღებას არ აქცევს. დარაჯი სდგას როგორც საყე, თოფი ხელში უჭირავს, მთელი რაზმი მოლოდინშია; მაგრამ რაღაც არა ჩვეულებრივი სახე აქვს დედოფალს, და ეს არა ჩვეულებრივი სეირნი სატახტო დარბაზში აოცებს ყველას. აფიცერი დარწმუნდა, რომ დედოფალი არსად მიდის დარბაზიდგან. კაი ხანს უყურა, და ბოლოს გაბედა შესვლა სხვა კარებით ქალების სადარაჯო ოთახში და ჰკითხა, იციან თუ არა, დედოფლის განძრახვაო. აჭ ის შეხვდა ბირონს (დედოფალთან დაახლოებული კარის კაცი) და უამბო, რაც მოხდა.—„შეუძლებელია—სთქვა ბირონმა,—მე ეხლა მოვდივარ დედოფლიდგან, იგი წავიდა დასაწოლად“.

— თქვენ თითონ შეხედეთ, იგი სატახტო დარბაზშია. ბირონი გაჰყვა აფიცერს და დაინახა ეგრეთ, როგორც მან უამბო. „ეს რაღაც ხრიკებია, რაღაც შეთქმულებაა, რომ გავლენა იქონიონ სალდათებზე—დაიყვირა ბარონმა, გავარდა დედოფალთან და სთხოვა გამოსულიყო და ემხილებია ვიდაც დედაკაცი, რომელსაც უსარგებლნია მისის მსგავსებით და ატყუებს ხალხს, უთუოდ ცუდი განძრახვით. დედოფალი გამოვიდა ისე, როგორც იყო, საღამურ ტანისამოსში. ბირონიც გაჰყვა. მან დაინახა დედაკაცი, რომელიც სავსებით ჰგავდა მას და რომელიც სრულებით არ შემკრთალა. „ურცხვი“, დაიყვირა ბარონმა და გამოიყვანა მთელი სადარაჯო რაზმი. აფიცერმა დაინახა ორი ანნა, რომელთაგან ნამდვილი, ცოცხალი ანნას გარჩევა მხოლოდ ტანისამოსით შეიძლებოდა და კიდევ იმით, რომ იგი ბირონთან ერთად მეორე კარებით შემოვიდა. ერთი წამის შემდეგ დედოფალმა წაიწია წინ და ჰკითხა დედაკაცს: „ვინ ხარ შენ და რაზე მოსულხარო“? მან არაფერი უპასუხა; მიაშტერა თვალები და უკან-უკან იხევდა ტახტისკენ და ამნაირად აკიდა ტახტის საფეხურებზე. „ეს უთუოდ ურცხვი მატყუარაა! აი დედოფალი! იგი გიბრძანებს თქვენ, ესროლეთ ამ ქალს“. უთ-

ხრა ბარონმა სადარაჯო რაზმს. გაფითრებულმა აფიცერმა უბრძანა სალდათებს, ესროლათ, სალდათებმა თოფები მოიმარჯვეს. ქალმა, რომელიც ამ დროს ტახტის საფეხურზე იდგა, ერთი კიდევ შეხედა დედოფალს და გაჰქრა. დედოფალი მიუბრუნდა ბარონს და უთხრა: „ეს ჩემი სიკვდილიაო“, შემდეგ გამოეთხოვა გაქვავებულ სალდათებს და წავიდა თავის ოთახში.

გრაფინია შტეინბოკი დედოფალ ულრიკას კუბოსთან.

როცა დედოფალი ულრიკა გადაიცვალა თავის სასახლის კოშკში ქალაქ სტოკგოლმის ახლო, მისი სხეული ჩვეულებისამებრ გამოდგეს ღია კუბოში კატარფალკაზე საგლოვიარო ოთახში. მეზობელ ოთახში იდგა საპატიო დარაჯი მეფის ლეიბ-გვარდიის ჯარის კაცთაგან სრული თავის შემადგენელი ნაწილებით. შუადღისას კოშკს მოადგა კარეტა დედოფლის მეგობარ ქალის გრაფინია შტეინბოკისა, რომელიც მოვიდა სტოკგოლმიდგან, რომ უკანასკნელი ვალი გადაუხადოს თავის მაღალ მფარველ დედოფალს. საპატიო დარაჯის უფროსმა კაპიტანმა გადმოიყვანა იგი კარეტიდგან და შეიყვანა საგლოვიარო ოთახში, რომლის კარი მოხურა გრაფინიამ, რითაც აჩვენა, რომ მარტო დარჩენა უნდოდა. აფიცრები, რომლებიც კუბოსთან დარაჯობდნენ, შეიტყვეს რა გრაფინიას სურვილი, გამოვიდნენ საგლოვიარო ოთახიდგან, რომელშიდაც ჩამოვარდა სრული სიჩუმე.

გავიდა კი ხანი და გრაფინია არ ჩნდა. მაშინ ერთმა აფიცერთაგანმა იფიქრა, გრაფინიას გული არ წასვლოდესო, გაიღო კარი და უცბად უკანვე გამოვარდა. ყველა იქ მყოფმა აფიცრებმა მოირბინეს და ცხადად დაინახეს, რომ დედოფალი ფეხზე იდგა კუბოში და მაგრად ეხვეოდა ქალბატონ შტეინბოკს. ეს ჩვენება, როგორც შენიშნეს ქანაობდა და შემდეგ გარდაიქცა კომლად, სქელ ნისლად; როდესაც ეს ნისლი გაიფანტა, ყველამ ცხადად დაინახა, რომ დედოფალი ულრიკა თავის კუბოში ესვენა და გრაფინია შტეინბოკი კი არსად იყო. ბევრი ეძებეს იგი სასახლის ყველა ოთახებში, შემდეგ ჩამოვიდნენ ძირს, სადაც კარეტა იდგა, მაგრამ ამაოდ: არც კარეტა, არც ქუჩერი, არც ლაქია იქ აღარ იყო. მაშინვე გაგზავნეს შიკრიკი სტოკგოლმში, საიდგანაც პასუხი მიიღეს, რომ გრაფინია შტეინბოკი სტოკგოლმიდგან არსა გასულა და გარდაიცვალა სწორეთ იმ დროს, რა დროსაც იგი ნახეს დედოფლის უბეში. ამ ამბავზე შეადგინეს დაწვრილებითი ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა ყველა იქ დამწრე პირებმა. ოქმთან იმეჭონება აგრეთვე ჩვენება საპატიო სადარაჯო რაზმის უფროსისა; იგი აჩვენებს, რომ გრაფინიამ საგლოვიარო ოთახში შესვლის დროს რაღაც დიდი საიდუმლო გადასცა მას. ოქმი დაცულია სტოკგოლმის სახელმწიფო არხივში.

სანმანიანი.

(შემდეგი იქნება).

ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ.*)

I.

სარწმუნოებრივი გრძნობით აღვსილი და ყოველთვის ქრისტიანობის მტკიცე ერთგულებით ცნობილი ქართველი ერი, ამ ბოლო წლებში ძნელი საცნობი გახდა. უცბად და უდარდელად გააგდო ხელიდან ქართველობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა ღვთის მმოსაობა, უცბად და ადვილად გაიცივა გული სარწმუნოებაზე, სისწრაფით შეითვისა მან გარედან მონაბერი ღვთის საუარმყოფო მოძღვრება. სოფლელი და მოქალაქე, მოსამსახურე და მოხელე, დედაკაცი და მამაკაცი, ყრმა და მოხუცებული ბევრგან ერთ ხმად ამხედრებულან ღვთისა და ეკლესიის წინააღმდეგ; უარს ჰყოფენ, ჰგმობენ, უგუნურობად სთვლიან მას, რაც აქამდე საღმრთოდ, სათაყვანოდ, სასახელოდ და ჭეშმარიტებად ჰქონდათ მიჩნეული,

*) ამ სათაურით დაისტამბება მთელი წყება აპოლოგეტური წერილებისა ქრისტიანობის ძირითადი ჭეშმარიტების შესახებ.

გეგონება ახალი მესია, ახალი მოციქული მოსულა და მას მოუხიბლავს, მას შეუპყრია ერის გული და გონებაო!

მაგრამ ასედაც რომ მომხდარიყო, ეს ხომ მაინცა და მაინც მაგ ზომად სადარდელი არ იქნებოდა? ეს ხომ მხოლოდ შეცვლა იქნებოდა ძველი რწმენისა ახალზე, შეთვისება მარტო ოდენ ახალი მოძღვრებისა ღვთისა, სულისა და საიქიოს შესახებ? დღეს კი, **სამწუხაროდ**, ვერასფერს ამის მსგავსს ვერ ვხედავთ ხალხში. ხალხის ერთი ნაწილი ხელაღებით უარს ჰყოფს საუკუნოებიდან შეთვისებულ მოძღვრებას: ვინ ნახა ღმერთი, რას ჰქვიან სული, სადაა საიქიო, რის მაქნისია სარწმუნოებაო და სხვა. აი რას გაიგონებთ დღეს ხშირათ ჩვენი კურთხეული სამშობლოს თვითეულ კუთხეში!

დიდად სამწუხარო და სავალალოა ეს მოვლენა, რადგანაც ასე უცბად, ასე მოულოდნელად, ასე ზერელად და დაუფიქრებლად ხელის კვრა და თავიდან მოშორება ყველაფრისა, რაც ამდენ ხანს ასულდგმულებდა და ასაზრდოებდა ერის გულსა და სულსა ცხადი და უტყუარი ნიშანია ამ ერის სულიერად მოშლა-მოდუნებისა, მისი გონება-ზნეობის გაქსუებ-გათახსირებისა.

აქ, რასაკვირველია, ბრბო, უბრალო ხალხი, არაფერ შუაშია, იგი სხვის ფეხის ხმასაა აყოლილი და, მსგავსად ცარიელი ქვევრისა, მხოლოდ ჩანაძახს გამოიძახის. ბრბოს და გონება მოუმწიფებელ მოსწავლე ახალგაზდობას ამ შენთხვევაში ხელმძღვანელობენ, რევენ და ჩასძახიან უცნაურობას ერთგვარი მიმართულების ნასწავლი პირები, რომლებსაც, სხვათაშორის, თავიანთი სიცოცხლის მიზნად დაუსახავთ სარწმუნოებისა და ზნეობის გაქრობა და მოსპობა ხალხში. ამ გვარი მიმართულებისაა, მაგალითად, ქართული წიგნაკის „ეროვნული საკითხი"-ს ავქსონი.

აი პირველივე სტრიქონები დასახელებული წიგნაკისა:

„იყო დრო, ყველას ძვალ-რბილში ჰქონდა ის რწმენა გამჯდარი, რომ ადამიანი უძველეს დროს უკვდავი არსება იყო; გონებრივად, ზნეობრივად და ფიზიკურად ის უმწერვალესად იყო განვითარებული და სამოთხის ნეტარებითა სტკბებოდა. დღეს კი ამ გვარი რწმენა მხოლოდ ბრიყვთა სამკაულია; მეცნიერებამ სამუდამოდ გაფანტა ეს სისულელე, რომელსაც დღესაც დაბეჯითებით ასწავლიან ჩვენ ბავშვებს სკოლებში და რომელსაც დღესაც მოწიწებით უქადაგებს სამღვდელოება ხალხს. მეცნიერებამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ არავითარი ადამი და არავითარი ევა არა ყოფილა არავითარ ედემში; მეცნიერებამ ახსნა, რომ უძველესი ადამიანი თანდათან განვითარდა პირუტყვისაგან" და სხ.

როგორც ხედავთ, ჩვენმა ბედნიერმა მეცნიერმა კალმის წვერის ერთი მოსმით ფარდა ახადა საიდუმლოებით მოცულს ცისა და ქვეყანის გაჩენის ისტორიას, გაბათილა **დაბადებას** პირველი ფურცლები და სისულელედ გამოაცხადა ჩვენი სარწმუნოებრივი მოძღვრების საფუძველი. ასე ომახიანათ სჭრის და ჰკერავს ჩვენებური ვოლტერი მაღალი მეცნიერების სახელით, მაგრამ ამ შენთხვევაში იგი ცილსა სწამებს, ჭორებს უგონებს და სახელს უტეხს მეცნიერებას. მოყვანილი აზრები ამოღებულია მისი საკუთარი გოგრის ძირგამოქმული კიდობნიდან და მეცნიერებაში მათ არავითარი ალაგი არ მოეპოებათ. აბა პატარახან სიტყვა დაუთმოთ, როგორ მსჯელობენ და აზროვნობენ ცისა და ქვეყანის შემქნელის შესახებ ცნობილი გენიოსები: ლინნეი, კეპლერი, ბეკონი, ასტრონომი გერშელი, ვატსონი, კარლ ფოხტი, ვიქტორ ჰიუგო, ლიბიხი, ლეილი, პასტერი, შლეიდერი და ათასნი სხვანი.

ლინნეის მეცნიერულ გამოკვლევაში მცენარეულობათა აგებულობის შესახებ ვპოულობთ ამისთანა საგულისხმიერო მსჯელობას: „სამარადისომ, უსაზღვრომ, ყოვლისა მცოდნემ და ყოვლად შემძლე ღმერთმა გაიარა ჩემს ახლო. მართალია, პირის პირ არ მიხილავს იგი, მაგრამ მისმა ღვთაებრივმა შუქმა გამოუთქმელი განკვირვებით აღავსო ჩემი სული. ჩემთვის ცხადი გახდა უმაღლეს ხსრისხზე მყოფ სულიერ არსებათა კავშირი მცენარეულობასთან, მცენარეულობის სიახლოვე დედამიწის

წიაღში დამარხულ მადნეულობასთან, ზომა დედამიწის მიმართულებისა მზისაკენ, წესი მისი ბრუნვისა მზის გარეშემო და მზისგან გამომავალი სითბოთი სარგებლობისა. ცხადი გახდა ჩემთვის ვარსკვლავთა და პლანეტთა სიმრავლის ბრუნვა სივრცეში, მათი დამყარება არა რაზედ იმისი ბძანებით, რომელიც არის დასაბამი ყოველი მოძრაობისა, არსება არსებათა, მიზეზი მიზეზთა, მმართველი და გამგე ქვეყნისა, უფალი და შემოქმედი ყოველთა არსთა“.

„თვითეული არსება იღნიშნულია ღვთის სიბრძნისა და ძლიერების ბეჭდით. თვითეული საგანი ჩვენდა სასარგებლო და სასიკეთოა. სარგებლობა, რომელიც მათ მოაქვთ ჩვენთვის, ნიშანია მათი შემოქმედის სახიერობისა, მათი სიმშვენიერე მაჩვენებელია ღვთის სიბრძნისა, ხოლო მათი შეხამებული განწყობილება ურთერთ შორის, მათი გარკვეული რაოდენობა და განუწყვეტელი წარმოება გვიჩვენებს ამ დიდებული ღვთაების სიმძლავრეს...

„დიალაც მოვალენი ვართ გვწამდეს ღმერთი, როგორც უსაზღვრო, საუკუნო, არა შობილი და არა შექმნილი არსება, თვით შექმნელი არსება, თვით შემქნელი და მმართველგამგებელი ცისა და ქვეყნისა“...

მსოფლიო გენიოსი კეპლერი დავით წინასწარმეტყველივით შეჰგალობს უფალსა: „გმადლობ შენ, ღმერთო და შემოქმედო ჩემო, რომ მაძლევ შეძლებას განვიკვირვო და შევიყვარო საქმენი შენნი! მე დავასრულე ჩემი მეცნიერული შრომა და მწამს, რომ ეს შემაძლებინა ჩემმა შემოქმედმა. რამდენადაც შესაძლო იყო ჩემი გონებისათვის, მე ვაუწყე, უფალო, ქვეყანას შენთა საქმეთა სიდიადე, რომ ამით ისწავლოს ყველამ შენი დიდება და შეიძინოს სიკეთე“.

„აქებდინ სული ჩემი შემოქმედსა ჩემსა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, ვინაიდგან მით და მას შინა არსებობს ნივთიერი და სულიერი ქვეყანა, ყველაფერი, რასაც ჭკუა მიგვიწვდება და რაც ჯერ კიდევ ჩვენი ცოდნის გარეშეა“...

„რაც უფრო ფეხს იკიდებს და ძლიერდება მეცნიერობაო, სწერს ცნობილი ასტრონომი გერშელი, მით დღითი დღე ეჰვ გარეშე ხდება ჭეშმარიტება შემოქმედის არსებობისა და მისი ყოვლად შემძლებლობისა. გეოლოგია, ასტრონომია, მათემატიკა, ბუნების მეტყველების ისტორია—ყველა ესენი თვითეულად ეზიდებიან მასალას, რომ, ააგონ საერთო ტაძარი მეცნიერებისა საქებელად და სადიდებელად შემოქმედისა ღვთისა ჩვენისა“...

ცნობილია ფილოსოფოსი ბეკონის აზრი, რომ უვიცობა გვაშორებს ღმერთზე და ღრმა ცოდნა კი გვაახლოებს მასთან.

კარლ ფოხტი, გაკვირვებული ბუნების გაჩენის ისტორიით, წარმოსთქვამს: „რა დიდებული და მასთან მარტივია მთლათ ეს საქმე, ეს პროცესსი! მხოლოდ ღმერთს შეეძლო მისი მოფიქრება და შესრულება, კაცს დარჩომია მხოლოდ ამ დიდებულ პროცესსის გონივრული კვლევა-ძიების საშუალებით შეგნება“.

„ბუნების შესწავლა ჩინებული საღსარია დასაფასებლად შემოქმედის სიდიადისო“, გვეუბნება ლიბიხი.

გეოლოგი ლეილის მოწმობით „რანაირი მიმართულებაც უნდა მივცეთ ჩვენს მეცნიერულ გამოკვლევებს, ყოველგან წინ შევეყრებით ცხადზე უცხადეს საბუთებს, რომ არსებობს შემოქმედი გონება“.

ცნობილ ექიმს პასტერს, როგორც თითონ მოწმობს, ჩვეულობად ჰქონია მეცნიერული მეცადინეობის დაწყების წინ მხურვალე ლოცვის შესრულება; დიდებულ ვიქტორ ჰიუგოს ანდერძი თავდება სიტყვებით. „ღმერთი მწამს“-ო.

ასეთია უტყუარ მეცნიერთა რწმენა და მსჯელობა ცისა და ქვეყანის გამჩენის შესახებ და დაე ახლა თითონ მკითხველმა გადასწყვიტოს—ვის შეუბურავს თავი უმეცრებისა და სულელობის ჩაბალახით: წყალწაღებული „ეროვნული საკითხი“-ს დამწერს, თუ ლინნეის, კეპლერს, პასტერს, ბეკონს და მისთანნეებს? ვინა რაყნის და ასულელებს ხალხს—ნაჩვენები წიგნაკის მთხზველი, თუ სამღვდელოება, ჭიმდევარი კეპლერისა, პასტერისა,

გერშელისა და მათთანების აზრებისა?

ვაი, რომ მართლა ძალიან შორსა ვართ მეცნიერებაზე და ამის გამოა, რომ ჩვენში მოიპოვებიან მკითხველები „ეროვნული საკითხი“-ს მინაგვარი აპია-ბაჭიებისა.

მაგრამ, ღვთით, როცა იქნება, მზე ამოვა და ჩვენებური გზა დაბნეული ათეისტები დაინახავენ თავიანთ არარაობას!

სეფეველელი.

საასიკეთო ნიშანი

ყველამ კარგად ვიცით, რა აზრისანი არიან ეხლა სამღვდელოებაზე. გაუმაძღარი, ღორმუცელა, გამგლეჯი, ხალხის მტერი, გამცემი, იუდა. აი სახელები, რომლებსაც ჭარბად უწოდებენ სამღვდელოებას „საზოგადოების“ წევრნი.—სიმართლის წინ თვალების დახუჭვა არ არის პატიოსნური საქციელი, მაგრამ არც ცალმხრივობა არის მოსაწონი. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ სამღვდელოებაში, რომელიც შესდგება კაცთაგან, არიან ულირსი პირებიც და მათ სავსებით შეეფერებათ და ღირსეულადაც აქვთ ხალხისგან დამსახურებული ზემოაღნიშნული სახელები; ეს მართალია. მაგრამ არც ის არის ტყუილი, რომ სამღვდელოებაში უწინაც ყოფილან და ეხლაც არიან ღირსეული პირები, რომლებიც ერთგულად, პირნათლად და პატიოსნურად ემსახურებიან საზოგადოებას; ისტორიამ სამღვდელო პირები ავებიც იცის და კარგებიც, ამიტომ ზოგიერთა აზრი და შეხედულობა სამღვდელოებაზე, როგორც მხოლოდ ყოველივე სიცუდით სავსე წოდებაზე არის უსაფუძვლო და ცალმხრივი.

სამღვდელოება არა ერთხელ დახმარებია ხალხს გაჭირვების და გამწარების დროს, უტირნია მასთან მისი ცრემლით და უწუხნია მისი მწუხარებით, ერთად გაუწევია მასთან სიმწარის და გაჭირვების უღელი. როგორც ერთი ამგვარი მაგალითი ჩვენს დროში, ჩვენ აღვნიშნავთ გურიის სამღვდელოების ღირს შესანიშნავს საქციელს, რომელიც ამ წინაკვირაში მოხსენებული იყო ტფილისის „ზაკავკაზიე“-ში. გურიის ეხლანდელი გაჭირვებული მდგომარეობა ყველამ კარგათ იცის; აქ გამეფებულია შიმშილი და სიღარიბე. ვურიის სამღვდელოებამ დაინახა გაჭირვებული მდგომარეობა თავისი მრევლისა და ხელი აიღო დრამის ფულზე. შესაფერი დადგენილება ცხრა საბლაღოჩინო ოლქიდან წარედგინა მღვდელთმთავარს, რომელმაც თავის მხრივ თვისი აზრის თანდართვით, წარუგზავნა ამ განაჩენების პირები გენერალგუბერნატორს და სთხოვს, რომ ხალხს დრამის ფული არ გამოართვან. განჩინება სამღვდელოებისა შედგენილია საქმეში კარგად ჩახედულ და შეგნებულ პირთაგან, იგი არ არის წუთიერი გატაცებით ან სხვა რაიმე გარეგანი მიზეზით გამოწვეული და ამიტომ, ჩვენი აზრით, შესაწყნარებელია. თვით მთავრობა და საზოგადოებაც, რომლებმაც იციან გურულების გაჭირვება, ეძიებენ სხვა და სხვა საშვალებას, რომ შეუმსუბუქონ ხალხს სიმძიმე შიმშილისა და აი ერთი საშვალებათაგანი მისცა მას სამღვდელოებამ დრამის ფულზე უარის თქმით. ეხლა ველარავინ უკიჟინებს გურიის სამღვდელოებას მაინც გაუმაძღრობას, გულქვაობას და ხალხის მტრობას. უეჭველია, მგრძნობიარე და მკვირცხლი გურულები ყურადღებით მოეპყრობიან მათ სულიერ მამათა საქციელს და ღირსეულად დააფასებენ მას. საქართველოს სხვა კუთხეების სამღვდელოებამ უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს აქ აღნიშნული საქციელი გურიის სამღვდელოებისა და ასე თუ ისე უნდა დააფასოს იგი.

სარკინელი.

რა მოაქვს ულმრთოებას?

გაგრძელება. [1])

ამის შემდეგ ადვილი გამოსაცნობია, თუ რა მოაქვს ულმრთოებას. პასუხს ნათლად იძლევა თანამედროვე სინამდვილე. სულიერ სნეულებამ, რომლის გავლენა მიმდინარეობს სარ-

[1]) იხ. „შინ. საქ.“ № 3.

წმუნოების დამხობისკენ, შედეგად უკიდურესი განხრწნა მოიტანა. იხრწნება მაღალ საპატიო და უსატრფიალესი მხარე სულიერ მოქალაქობისა და შენდება უზარ-მაზარი გოდოლი ბაბილოვნისა ხორციელად. წინ-მსვლელობითი ჩვენი გონების განვითარების აღსავალი ცალ-მხრივად დაქანებული, ვითომ აღმავალობს, მაგრამ მისდა შეუმჩნევლად ირღვევა კიბეთა ხარისხი და კვალად მიუბრუნდა უკუნ-ქცევითს მხედველობას და დაადგრა ძველებურ გზას ის სიბნელე, ის უღმრთოება, ის უსირცხვილობა უსჯულოდ ერთიერთ უნათესავ პირუტყულ შერევნისა, წყლით რღვნამდისინ გამეფებული უკულმართ წუთი სოფლის ცხოვრების მოქმცევ ურმის თვალმან ამოასკუპა დღეს მეოცე საუკუნის „განათლების სახელ-წოდების სიამაყეში, და ის ძველ გაუნათლებელ დროის ხანა დაგვიდგა საოცარის სისწრაფით და მაღალ კიბეზე აღსრულმა სულიერად განათლების ხიბრძნემან უკუნ იბრუნა პირი და ძლიერად შესტოპა კვლავ ზნეობით დასანთქმელ ბუნების საუძღებო ზღვაში. აირია ქვეყანა. გაგვისწორდა ბრძენი და უგუნური, ვინაიდგან ყველა ბრძენობს, ყველა ქადაგობს. უმცროსი და უფროსი, რამეთუ ყველა უფროსობს. ეს ყველაფერი ნიშანია ჩვენის გონივრულ განვითარებისა კი არა, არაედ საზიზღარ ნახტომით ქვესკნელში ჩაძირვისა. მონობისგან გამოხსნის მახარებლობით ხალხი დაათვრეს და ურწმუნოების ხრამში გადაყარეს. კაცის კვლა, ძარცვა-გლეჯა სახალისო ვარჯიშობად გადააქციეს, სარწმუნოების მასხრობა და ეკლესიების უპატიოებით შეგინება ძლევა-მოსილ გამარჯვებად დაისახეს. „პიროვნება ხელ-შეუხებელიაო"; სიტყვა ქარმან წაგავა, ხოლო საქმით აღივსო მართალ აბელთა სისხლით ქვეყანა. გაზეთების ფურცლები კაცის კვლისა და ძარცვა-გლეჯის ცნობებით აჭრელებულია, რაზედაც თუმცა ისმის გოდება მრავალთაგან, მაგრამ გვიანღაა. ახალ-მოძრაობის ზოგიერთ ბნელის მოძღვრებმა იარაღად გაიხადეს ურწმუნოების ქადაგება, და ამის შემდეგ რად უკვირსთ უკანასკნელ ხანებში საოცრად ქვეყნის აღმოსრბელი ზნეობრივი დაცემა და ბარბაროსული სიმხეცე, რომლით აღივსო ხალხი და გარემოცულ ვართ საზიზღარ და საშიშარ გასამხეცებელ მდგომარეობით. კაცობრიობის უძვირფასესი საუნჯე ცხოვრების რიგში არის ოჯახი. ეს არის კაცად-კაცადისა საკუთარი ედემი სულით და ხორცით საშველებელი, წყარო კეთილ-სიცოცხლისა და სიხარულისა ოჯახის კრებულის ერთიერთ მტკიცე საღმრთო სიყვარულით, ჭირსა შინა დახმარებით და მოგლით. ვისაც კაცობრიობის ისტორია ღრმა გულის ხმის ყოფით გაუთვალისწინებია და ცხოვრების სარკეში ნათელ გონებით შთაუხედია, მას ამაზე უნდა ქონდეს უმეტესი ყურადღება მიქცეული, რომ ოჯახის საბედნიერო, სამშვიდობო და მათში სასიყვარულო სხივ-მფენელ საღმრთო კავშირებში განმსჭვალელ-ელჭყონ თითოეული ოჯახის წევრი. ოჯახი უნდა გახადონ ტაძრად საღმრთო ქორწინებითი სიწმიდისა, სკოლად შვილთა უბიწო პატიოსნებისა და მაშინ ჩოვებს ადამიანობა ამ სოფელშიდაც ნეტარებას. მაშინ რაოდენად შესაძლოა ჩვენი სულიერი სიდუხჭირე ჩოვებს გულის ტანჯვა და გვრიობისაგან თავისუფლებას ოჯახობის უშიშრობით, — ნდობას გაუცემლობით და დაცვას შვილთა თვისთა პატიოსნად და უბიწოდ, და აი ამაშია საესება ცხოვრების კეთილდღეობისა, ამაშია საადამო სუფევა და ბრწყინვალება გულისა საღმრთო მეუღლეთა და აღფრთოვანება სიხარულისა. ახლა ვთქვათ შეუდექით ულმრთოთა მოძღვრებას, ღმერთი ვარ-ვჰყოთ, სულის უკვდავება არ ვირწმუნოთ, ცოდვა და მადლი არად შევრაცხოთ და ნათესავობა პირუტყულად შერევნილ ვყოთ, მაშინ რა ვიქნებით? რამ შეზღუდოს ჩვენი სიბოროტე, რამ დაიცვას ადამიანი მხეცურ თვისებებისაგან და რა მდგომარეობაში იქნება საოჯახო ბედნიერება პირუტყვ-მხეცურ თავისუფლების გამეფებით? ეს ყველასათვის საადვილო გამოცანაა, რომ ჩვენ ვიქნებით აღვირ აშობილი უსასტიკესი მხეცი, ჩვენს სიბოროტეს ვერაფერი შეაჩერებს, ვერა რა დაიცავს და შეაკავებს ადამიანის გაუმაძღარ ბიწიერებით გათახსირებას, და მაშინ დაგვრჩება ნაყოფად სულიერი ოხრება, ბედნიერების ნაცვლად უბედურება, მონობისგან გა-

მოხსნის ნაცვლად პირადი მისწრაფების გამეფება და ცოდვის მოურიდებელ უფსკრულში გონების დანთქმა-გაველურება. და ამგვარად უღმრთოების ქადაგებით იხრწნება ზნეობრივი მხარე, ირღვევა ოჯახობითი სიყვარული და საღმრთო კავშირი, კაცობრიობის კეთილ-დღეობის ნიადაგი ძირითურთ იფხვრება, სულიერ მადლ-მოსილი გონებრივი საუნჯე ცალიერდება, ბნელდება ციური ნათელ-მხედველობა ხალხისა და აღვირ-აშვებული უერთდება მხეცთა ბანაკს, რომელთაგან დღესვე თვალ-საჩინოდ სამარცხვინოდ მოქმედებენ ძენი რისხვისანი, ძენი კაენისანი ძმისა ერთ გროშად მკვლელნი, ძარცვა-გლეჯით სამშობლოს შემაზარნი და გაველურებულ გრძნობით ამაოხრებელნი, ეს ყველაფერი შედეგია უღმრთოების ქადაგებისა, რომელიც თანდათანობით ემუქრება კაცის პირუტყვად გარდაქმნას, რასაც არც კი ისირცხვილებენ ახალმოდის მოძღვრები, სარწმინოების მხრივ გზადა-კვალ დაბნეულნი, რომელნიც გახარებით ღაღადებენ, ჩვენ და ძროხა ერთნი ვართო. და ეს სულიერი სიდუხჭირე და გაღატაკებულ სულის სიცალიერე უღმრთოთა მათს სახესა და გამომეტყველებაზედაც იხატება და შეხედვისა თანად მათი სურათი წარმოგიდგენს სიმხეცეს და სულიერად გახრწნილებას. რაღაც საშიშარ-შესაზარებელ სახით გამოიყურებიან, თითქო რაღაც განუსაზღვრელ უფლებით ცაზედ ღმერთსა და ქვეყანაზედ ადამიანებს ემუქრებიანო. სიტყვა უზრდელი, ქცევა ამაყური, ხოლო ბრძანება ხომ ბატონ-ყმობრივ პასუხ-შეუბრუნებელი. ამგვარ მქადაგებლებზე მშვენივრად მოეზავება სიტყვა პეტრე მოციქულისა: „თავისუფლებასა აღუთქმენ მათ (ერთა) და თვით იგინი მონა არიან ხრწნილებისა.“ ამის შემდეგ რა უნდა მოვსთხოვოთ იმ ადამიანს, რომელსაც ღმერთი უარუყვია, კაცობრივი ზენარ-შობილებითი მოვალეობა და ან რა უნდა ვისმინოთ მათი სიტყვების ჭეშმარიტება, თუ არა მხოლოდ პირუტყულ ცხოვრებისათვის ბღავილით მოწოდება. ვისაც თავი პირუტყვად შეურაცხია მას წეს-რიგი, ცოდვა, მადლი პატიოსნება და ნამუსი რად ესაჭიროება, ეგ ხომ ფარისევლობა და თვალთ-მაქცობა იქნება, რადგან მათ საქმე ზეცაში არაფერი აქვთ, არამედ პირუტყვებთან. ვაი ასეთს დღის დაკარგვას! ამას რა სკოლა, რა უცხოეთში გადახვეწა სჭირია; ყველას თავის ოჯახში შეუძლია დაამთავროს ახალ-მოვლენილი „მაღალ-განათლების კურსი შემდეგის სიტყვებით: „რასაც ხედავთ, ამის მეტი არაფერია, არც ღმერთი, არც უკვდავება, არც წარწყმედა, არც ცხოვნება და ცოდვა და მადლი, ჩვენ და პირუტყვნი ერთ-ვართ.“ მორჩა და გათავდა! დასრულდა მაღალ-კურსის ეგზამენები და ბავშვებიც შევლენ „უმაღლეს განათლების სახელწოდებაში“, რამეთუ იქმნენ პირუტყვ, გინა მიაღწიეს საკვირველ სწავლის ოხჭანს—პირუტყვობას. აი სანამდი მიგყიყვანს უღმრთოებაბ!.

ალექსი ბერი.

(შემდეგი იქნება).

ცრუ ბრძენებს.

ვინ არის ეს, რომ გზაზედ მაჩერებს,
ლახვრით მიწყლულებს მჩქეფარ სიცოცხლეს,
საფლავს უმზადებს ჩემს მისწრაფებას,
ნაღვლით მიშხამავს სულის სინორჩეს?

—

ტლანქის ხელებით კიდეს უშენებს
ცხოვრების წყურვილს მედგრად მდინარეს,
ძალად მიბნელებს მზეს სიცოცხლისას,
სამარადისო სხივ-შუქ მფინარეს;

—

ქვეშ კვარცხლ-ბეკს მაცლის,
წინ გზას მიბნელებს,
ნიადაგს აცლის გონების ლტოლვას.—
მაშ რა აზრი აქვს უკუნ წყვდიადში
ამ უხალისო ბრმა მიმოგორვას?!

—

ჩრდილთა ურთიერთს გადმოდენაში
ნეტავ რა არის საიდეალო?
ვით აღმოადენს ბედნიერებას
თვით განხრწნილი და წარმავალ წყარო?!

—

ვით მოაშორებ შმაგსა გონებას
ჭეშმარიტების თვალ-უწვდენ არეს,
და ან ვით დაშრეტ არსებად მოსულს
უკვდავ სიცოცხლის ცეცხლს მოტყინარეს?

—

ვით შეგიძლია, რომ აღმოხოცო
უკვდავ ცხოვრების წყურვილის ალი
და უზარ-მაზარ მსოფლიოს ზედა
მოშალო სიბრძნის ბრწყინვალე კვალი?

—

გონება ბნელო! თუ ყოველივე
ბრმა ნივთთ ცვლილებით დაიბურება,
მაშინ ხომ შენი ჭეშმარიტებაც
ამ უფსკრულშივე დაითრგუნება!

ონოფრე მწირი.

ლექცია.

კვირას 27 აპრილს. ბ. ი. ნაკაშიძემ ლექცია წაიკითხა ქალაქის თეატრში შესახებ იმისა თუ რა გზას უნდა დაადგეს დღევანდელი აღზრდა განათლება. როგორც მოგეხსენებათ, დღევანდელი ხანა არის ხანა პირადი, ინდივიდუალური, თავისუფლებისთვის ბრძოლისა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ბ. ლექტორი, როგორც თავის დროის შვილი, აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმესაც სრულ პირად თავისუფლებაზე დაამყარებდა. ასეც მოიქცა იგი. იგი ცდილობდა დაემტკიცებია, რომ ბავშები თავისუფლად უნდა ეწაფებოდნენ სწავლას, იგინი თავის შინაგანი მოთხოვნილებისამებრ უნდა ირჩევდნენ სასწავლო საგნებს. არავითარი დიპლომი, არავითარი პრივილეგია არ უნდა აიძულებდეს მათ ამაში. ასეთი მიმართულება სწავლა-განათლების საქმეში, როგორც ვხედავთ, ძრიელ ახალია და გასაკვირვალი არ არის, რომ ცოტა გვეჩოთირებოდეს. ერთი და ორი ლექცია არ კ'არა ამის შეგნებისათვის; ამისთვის საჭიროა ვრცელი დასაბუთებული თხზულება, უფრო მეტი, მთელი ლიტერატურა. მჭევრმეტყველურ ლექციას შეუძლია ადამიანი მოხიბლოს, გაიტაცოს, მით უფრო მოსწავლე ახილგაზდობა, რომელსაც ასე იზიდავს ყოველი ახალი იდეა, რა ჯურისაც უნდა იყოს იგი. საჭიროა ღრმად მოფიქრება და გამოკვლევა საგნისა, ყოველ მხრივ განხილვა მისი, რომ სიახლემ ან რომელიმე პირველი შეხედვით ვითომ რომელიმე კარგმა მხარემ არ გაგვიტაცოს და სიკეთის მაგიერ ვნება არ მოგვატანინოს საქმისათვის. ბუზის მოკვლა კარგია, მაგრამ ვაი თუ მეუდაბნოეც თან გაჰყვეს...

ჩვენი მხრით ვერ გაგვიგია, რა ნაირად მივანდოთ არჩევანი ბავშს სწავლის საქმეში? არჩევანი რომ აიღო, საჭიროა იცოდე საარჩევნო საგნების ვითარება, მათი ავკარგიანობა, ე. ი. საჭიროა იცოდე ეს საგნები—და აგრეთვე მათი პრაქტიკული და ტეორეტიული ძნიშვნელობა. როგორ შეიძლება მაგ. ბავშმა არჩევანი აიღოს სამთემათიკო და საბუნებოსმეტყველო საგნებ შორის, როცა არც ერთი და არც მეორე არ იცის? რა განსხვავება უნდა დასდვას მან მათ შორის, რომ ერთი შეიყვაროს და მეორე შეიძულოს? რა იცის მან, რა პრაქტიკულ სარგებლობას მოუტანს ან ერთი და ან მეორე? ბავშებს რომ სწავლის საქმე მივანდოთ და ისიც წინ არაფერი მიზანი დავუდვათ, ეს იმას ემსგავსება, კლდეს მივაყენოთ და უმიზნოთ ქვა ვატეხინოთ. ამ შემთხვევაში ბავში ქუჩას უფრო ირჩევს, ვიდრე წიგნს, პოლიტიკობას დაიწყებს და მეცნიერებას ჩირად არ მიიჩნევს. ასე მოხდა ამ მოძრაობის დროს, როცა სათაყვანოდ აღიარეს აღვირწახსნილი თავისუფლება: ბავშებმა თავი დაანებეს თავის საქმეს—სწავლას—და ღმერთმა იცის, რა ხელობას არ მოჰკიდეს ხელი.

ლექტორმა უარჰყო ყოველგვარი წინათ დამუშავებელი გეგმა სწავლების საქ-

მეში. ამ დებულებასაც ვერ მისწვდა ჩვენი შეგნება. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია რანაირად შეიძლება საქმის უგეგმოდ გაკეთება. ყოველ საქმეს წინ უძღვის აზრი, ან გეგმა მისი გაკეთებისა. სახლის შენებას რომ დაიწყებენ, წინდაწინ განსაზღვრავენ სად უნდა დაატანონ კარი, სად ფანჯარა, სახურავი, საფუძველი და სხვა. აგრეთვე სწავლაც. მასწავლებელმა წინდაწინვე უნდა იცოდეს, საიდგან დაიწყოს, როგორ განაგრძოს და სად გაათავოს. უამისოთ რას ემგვანება მისი სწავლება? შესაძლებელია წუნი დავსდვათ ამა თუ იმ პროგრამას, ან ამა თუ იმ ნაწილს პროგრამისას, ხოლო წინდაწინვე გათვალისწინებულ გეგმის უარყოფა, არა თუ მხოლოდ სწავლა-განათლების საქმეში, არამედ ყოველ საქმეში,—სიგიჟეა. მხოლოდ გიჟს—სულით ავათმყოფს—არ აქვს გეგმა თავის მსჯელობასა და მოქმედებაში და გიჟსაც მიტომ ეძახიან. თუ გეგმა სწავლების საქმეში უარსაყოფელია, უარი უნდა ეყოს სხვა საქმეშიდაც.

აღზრდა და განათლება (სწავლა) ლექტორმა შეაერთა ვიღაც დიდებულ პედაგოგის სახელით. სწავლა (განათლება) იგივე აღზრდაა სთქვა ლექტორმა. ჩვენ ვერ ვეთანხმებით ამ საგანში ვერც ლექტორს და ვერც დიდ პედაგოგს. ბომბის სროლაც სწავლაა, კაცის კვლაც, ქურდობაც, ჯიბგირობაც, მექრთამეობაც, მათხოვრობაც, მაგრამ განა ამას აღზრდა ჰქვია? ბავშს შეიძლება ვასწავლოთ როგორ კეთდება თოფის წამალი, ბომბი, დინამიტი, მაუზერი, ბრაუნინგი და სხვა ევროპიელ კულტურის ღვიძლი შვილები; შეგვიძლია ვასწავლოთ დუელში ბრძოლა; ეს სწავლაა, მეცნიერებაა. მაგრამ რა ემატება ამ ცოდნით იმის ზნეობრივ მხარეს? მას შეუძლია ეს ცოდნა, როგორც უნდა, ისე მოიხმაროს, მისი ნებაა, როგორ მოიხმარს ამ საგნებს, ადამიანთა სასიკეთოდ, თუ მათ გასანადგურებლათ. მაშასადამე აღზრდა შეეხება ადამიანის თავისუფალ ნების კეთილ მიმართულებას და არა გონების განვითარებას. ამიტომ მათი შერევნაც არ შეიძლება. განათლება რომ ზნეობის ამაღლებას ბადებდეს, ეხლა განხორციელებული იქნება ის, რასაც ჯერ კიდევ იდეალად სახავენ. მაგრამ, გვითქვამს და ვიმეორებთ, განათლება—სწავლა-ზნეობას არ ამაღლებს და, თუ უკაცრავად არ ვიქნებით, ვიტყვით, ამდაბლებს კიდეც. ამდაბლებს მიტომ, რომ ცოდნა ზნეობა ჰგონიათ: თუ ბომბის კეთება იცი, უთუოდ ვისმე უნდა ესროლო, თუ ლევორვერი გკიდია ვინმე უნდა მოჰკლა. არა, ზნეობას სულ სხვა პრინციპები აქვს და აღზრდა როგორც ზნეობრივი განვითარება სრულებით არ ექვემდებარება სწავლა მეცნიერებას. დიდებული სოგრატი ასწავლიდა ქველობა ცოდნაო, საჭიროა ვიცოდეთ რა არის ქველობა, რომ მისი წინააღმდეგი არ ჩავიდინოთო, მაგრამ ეს სწავლა უნიადაგო იყო და არის ეხლაც. განა არ იცის ქურდმა, რომ ქურდობა ბიწურებაა? განა არ იცის კაპიტალისტმა სანდონების მოძღვრება? მაგრამ რას უკეთებს მათ ეს ცოდნა? ეშმაკებსაცა სწამს, იაკობ მოციქულის სიტყვით, და სძრწიან. ზნეობრივ აღზრდას სამარადისო და საყოველთაო პრინციპები უნდა ედვას საფუძვლად და ეს პრინციპები შეიძლება მისცეს ქრისტეს სარწმუნოებამ და არა რომელიმე პედაგოგის ან ფილოსოფოს-მეცნიერის სწავლამ.

თუ სწავლის საქმეში საჭიროა გეგმა, ზნეობრივ აღზრდაზე უფრო მეტი ითქმის.

შესანიშნავი იყო ბ. ლექტორი, როცა იგი თანამედროვე სოციალისტ-დემოკრატებს ამხილებდა, რომ იგინი თავის ზეპირ მოძღვრებას თავის მოქმედებით უარს ჰყოფენო: ქადაქებენ ერთობას და ამასთანავე ზიზღით უყურებენ იმ სამუშავარს, რომელსაც ასრულებენ მათი პროლეტარებიო. არც ერთი სოციალისტი

არ დაგეთანხმება ფეხის ადგილი გასწმინდოს და ერთობას კი ჰქადაგებსო. სასურველია ბავშობიდგანვე შევეჩვიოთ ყოველგვარ სასარგებლო მუშაობის არ თაკილობასო. საჭიროა მასწავლებელმა თითონ მისცეს მაგალითი მოსწავლეს ამ საქმეშიო.

ბოდიშს ვიხდით ბ. ლექტორთან, რომ პირველი შთაბეჭდილებით ვსჯით იმ საგანზე, რომელიც უცხოა ჩვენთვის. კარგი იქნება, თავის ლექციას დასტამბავდეს, რომ უფრო დაახლოვებით გავიგოთ, რაში მდგომარეობს მისი ახალი მოძღვრება. ვინ იცის იქნებ ისე ვერ გავიგეთ მისი აზრი, როგორც მას უნდოდა გამოეთქვა.

ბოსლეველი.

ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲮᲔᲕᲘ.

(აღმოსავლეთური თქმულება) პ. აროდიმსვისა [1])

I.

მაღალს მთებს—ბნელ-რუხვ უზარმაზარ კლდეებს გარემოუცავს ხევი. მთები, როგორც კედელი, ისრე აშორებდენ მას დანარჩენ ცხოველ ქვეყნისაგან.

ის ხევი უნაყოფო და უდაბური იყო.

გარუხვებულსა და თითქოს ნაცარ მიყრილ მიწიდგან, მხოლოდ აქა იქ ამოსულიყო გაყვითლებული და გამხმარი ბალახები. იქი აქვე მოსჩანდნენ განცალკევებულათ მდგარი ხეები.—შესაბრალისი დაღვრემილი ხეები... მათ თითქოს მუდარებით განეპყრათ შეუბრალებელის სიმყაროსათვის თვისი ნახევრად ტიტველი და ნახევრად გამხმარი ტოტები. არც ერთი ყვავილი აქ არა ჰყვაოდა... უზარმაზარი რუხვი და შავი ლოდები, როგორც საფლავის ქვები გაბნეულიყვენ ყველგან.

აქ წელიწადის უმეტესი ნაწილი ცა ბნელი იყო. შავი ღრუბლები, როგორც შავი უმსგავსი საოცრებანი ახლო ეშვებოდენ ხევის თავს. ღრუბლები გადიცლიდენ, მაგრამ მადლიანი წვიმა მაინც არ აცხოველებდა ქვიშნარ და კლდოვან მიწას.

ის კი არა, მგონი, მხეცებიც კი არ ეკარებოდენ ამ დაღვრემილსა და დაწყევლილს ალაგს. ხანდისხან ელდის ნაპრალიდგან გამოჩნდებოდა ხვლიკი და ისევ მალე იმალებოდა. შიშინით მისცურავდა გველი... ხევში ღამე არ ისმოდა, თუ როგორ აჩრდილივით ქურდულათ, მიძვრებოდენ ტურები. გადმოიცვლიდა შავი ყვავი,—მაგრამ მისი გამჭრიახი თვალები ამაოდ ათვალიერებდნენ საშოვარს.

სიცოცხლის ნიშან წყალს მოკლებული უდაბნო... დღის სინათლეზე მოწყენილ მოქუშული ხევი, ქარიშხალიან ღამეში სასაშიშრო ხდებოდა. იგი ინთქმებოდა წყვდიადში, და წყვდიადი აღსავსე იყო სასაშიშროებით... ხევი ამ წუთებში თითქოს სცოცხლდებოდა, ივსებოდა ხმაურობით, ლაწალუწით, გუგუნით.

მთის ქარი ღრიალებდა ღელეებში, ალშფოთებული გადარბოდა დედამიწის პირზე, ეკვეთეოდა ხეებს, და ძალუმად ურხევდა მათ წვეროებს. ელვის სინათლეზე, უცბათ წყვდიადში, მოჩვენებასავით, გამოჩდებოდენ ხეები და ისევ ჰქრდებოდნენ. ქარის ძალდატანებით მათი ნახევრად გამხმარი ტოტები ერთი მეორეს ეხეთქებოდა, და როგორც გამხმარი ჩონჩხის ძვლები ისრე რიხინობდნენ წყვდიადში... ქარის ველურ ღმუილში, რომელიც მთებიდამ ათასნაირ გამოძახილს იწვევდა, მოისმოდა წყნარი ვედრებაც, და რალაც ბოროტების მომასწავებელი ჩურჩულიც, თავგანწირული ყვირილიც, თითქოს წამებულთა გმინვა ღრიალი, ძალით მოშთობილი წყევლა კრულვა, გოდება და ოხვრა... თითქოს მთელი ქვეყნის ტანჯულ წამებულთა სულები, რომელთაც განსვენება ვერსად უპოვიათ მოფრენილან აქ და მოთქმა ღრიალით მიმოდიან კუკუმეთში.. გრიგალი დაწყნარდებოდა ხოლმე, დედამიწის პირიდამ ღამის აჩრდილი ჰქრებოდა, მაგრამ მთიების წყნარს ციმციმსაც ვერასფერი სანუგეშო მოჰქონდა: განთიადისას აქ

[1]) იხილ. ჟურნალ „Научное Обозрѣніе"-ეს 1903 წ. № 1.

არც ერთი ფრინველი არ აჭიკჭიკდებოდა, არ უგალობდა მზის სხივებს სალხინო საგალობელს... გრგვინვა ქუხილის და გუგუნ ხმაურობის შემდეგ აქ ისევ მყუდროება და მუდმივი უფერული ბინდბუნდი დგებოდა. სამარისებურ სიჩუმეს მოუცავს ხევი. მხოლოდ შავი ყვავი თავს დასჩხავის მას...

II.

ღამეა, მაგრამ ქალაქში არავის არა სძინავს. ყველა იქ მცხოვრებნი აღელვებულნი და აღშფოთებულნი არიან. სასახლე გაჩირაღდნებულია, მისი სვეტები და დიდებული დერეფნები, განათებულნი, როგორც წითლათ შეღებილი ცა, ელვარეთ და მკაცრათ აღბეჭდილან ღამის ბნელ ცის ფონზე.

სასახლეს დიდი მოძრაობა ემჩნევა. ქუჩებში და მოედნებში, თითქოს რიღაცის მომლოდნე ხალხის გროვა მდუმარებს.

აზრაილი, შეუბრალებელი ანგელოზი სიკვდილისა, გარდამოხდა ამალამ სასახლეში. მხედრები პატრუქებით გამოდიან სასახლიდამ და მიეშურებიან სხვა და სხვა მხრისაკენ. ქუჩებში და სანახშოებზე ისინი ხმა მაღლად უცხადებენ ხალხს:

— გარდაიცვალა ჩვენი დიდი ამრუ! გარდაიცვალა ჩვენი სახელოვანი, მორჭმული და ბრძენი მფლობელი! ტახტზე ავიდა მისი ღირსეული შვილი, ჭაბუკი, აბუჯებელი!

— რცხვენოდენ და თავსლაფ დასხმულ იქმნენ მტრები დიდისა ამრუსი! ალლახი, ჰფარევდეს აბუ-ჯებელს! ჰყვიროდენ ჯარის კაცები, იქნევდენ სანათურებს და მიმოაბნევდენ ოქროსებურ ნაპერწკლებს.

— ალლახი ჰფარევდეს აბუ-ჯებელს! იმეორებდა მორჩილებით ხალხი. რამდენიმე დღის შემდეგ დიდი ამრუ დაკრძალეს. ბრწყინვალე და დიდებული დასაფლავება იყო. სამგლოვიარო დროშები ფრიალებდენ, მწარედ ხმობდენ საყვირები. მოტირალი ქალები თმას იგლეჯდენ, სამოსელს იპობდენ და მაღალის ხმით მოსთქვამდენ, ხმაურობდენ:

— საუკუნოდ გაგვეშორა ამრუ! ვაი ჩვენდა .. ჰოი, აზრაილო! რისთვის მოგვტაცე ამრუ!

მოხუცმა აბდულლახმა, ამრუს პირველმა კარის კაცმა და მახლობელმა მოთათბირემ, შესანიშნავ სიტყვაში ჩამონუსხა სრულათ, კეთილნამოქმედარი და დიდებული ღვაწლი განსვენებულ ბატონისა.

მიცვალებულისკენ მიქცეული იგი დინჯათ და რიხიანათ ამბობდა:—როდესაც ისფრაილი, მკვდართა აღდგომის დღეს შეუზახებს მთელს მსოფლიოს თავის საყვირით, და მედგარი ხმა მისის საყვირისა მიმოეფინება მთათა ბნელ გულს და ზღვათა სიღრმეს, მაშინ შენ, ამრუ, აღსდგები ახალი ცხოვრებისათვის და მტერნი შენნი დარჩებიან ბნელს სამარეში! ბოროტი აზაზილი ვერ გაჰბედავს შენთან მოახლოებას, და რუშვანი შენს წინ განაღებს სამოთხის კარს. ჰაერი აღსებული ყვავილთა საკვირველის სუნნელებით, წყნარი შრიალი სამოთხის ხეთა ფოთოლთა და ხმა ტკბილი გალობა შავთვალა ქალთა მოგბერვენ შენ საუცხოო ოცნებათა... და შენ ინეტარებ საუკუნოდ, და იმა ნეტარებას ენა ვერ გამოსთქვამს... სუსტია და არა საკმაო ამისათვის კაცობრიული სიტყვა ჩვენი...

ცხოვრება ახალგაზრდა აბუ-ჯებელისა წავიდა ჩვეულებრივად: თათბირი კარისკაცებთან ქვეყნის საქმეებზე, ელჩთა მიღება, სამხედრო ვარჯიშობა, ნადირობა, ჰარამხანაში დამწყვდეულ დედაკაცთა სიყვარული, დღესასწაულები, მეჯლიშები, ღამღამეობით გემოთ მოყვარებითი ქეიფები ჩრდილთა ქვეშე დიდათ მშვენიერ და სუნნელოვან ბაღებში, მთვარის მოელვარე სხივებით განათებულებში...

მ. ვლ. ფ—ძე.

(შემდეგი იქნება).

საშეურნეო წერილები

აბრეშუმის ჭიის მოშვლელთა საყურადღებოთ

1. ახალ გამოსულ აბრეშუმის ჭიას მური ჰქვიან. მურის გამოსაყვანად აბრეშუმის ჭიის თესლები (გრენა) ძალიან თხლად დაჰყარეთ წმინდა ქაღალდზე და დადევით თბილ ალაგას; სასურველია, რომ სითბო მურის გამოსვლამდე

სულ ერთნაირი იქნეს თესლებთან.

2) როცა შეატყობთ მურის გამოსვლას, თესლებზედ უნდა დააფინოთ ასაკრეფი მოთხო დახვრეტილი ქაღალდი ან მსხვილ ფოცალა ძაფის ბადე, ან ლეჩაქის ნაჭერი, ამაზედ დაყარეთ ბეოლის ნორჩი ფოთლები; როდესაც შეატყოთ, რომ ფოთლებზედ სულ ამოსულა მურია, ფოთლები მურიანათ აიღეთ და წმინდა ადგილზედ დადეკით. მეორე, მესამე დღესაც აგრე მოიქეცით.

3) თესლიდგან გამოსვლის შემდეგ პირველ კანის გამოცვლამდე მურს აკამეთ ძალიან წმინდათ დაჭრილი თუთის (ბეოლის) ფოთოლი. აკამეთ ხშირ-ხშირათ და ცოტ-ცოტა; საღამოზედ, უკანასკნელ ჭმევის დროს, ფოთოლი მეტი უნდა დაუყაროთ.

4) პირველ კანის გამოცვლიდგან მეორე კანის გამოცვლამდე აკამეთ უფრო მსხვილათ დაჭრილი ფოთოლი, ვიდრე პირველ კანის გამოცვლამდე; შემდეგ მეორე კანის გამოცვლისა კიდევ მეტი მსხვილათ დაჭრილი ფოთოლი უნდა და შემდეგ კი დაუყარეთ მთელი ფოთოლი.

5) კანის ცვლის დროს (ძილის დროს) ფოთოლი არ უნდა დააყაროთ ჭიებზე, ან არ გაანძრიოთ ის ადგილი, სადაც ჭიები ზის.

6) პირველ დღიდგან ჭიების ცახზე ასვლამდე, ჭიები მშიერი არ იყოლიოთ. სოველი, ან დანოტიებული ფოთოლი ჭიას **არ მაკარონოთ**, თორემ ჭიებს სენი გაუჩნდება; აგრეთვე ფოთლები არ უნდა იქნეს ძველი, შეხურებული, გაყვითლებული, ნაყოფი (ბეოლის კაკალი) და ყლორტები არ უნდა გაყვეს ფოთლებს.

7) ჭიები თავის ალაგას უსათუოთ ძალიან თხლათ უნდა დაიკავოთ, ერთი მეორეზედ არ უნდა იჯდეს, თორემ მიუცილებლად საყაჭეში სენი გაჩნდება, ჭიები უთანასწოროთ იზრდება და პარკებსაც დაუმთავრებელს აკეთებს.

8) საყაჭეში მიუცილებლად წმინდა ჰაერი უნდა იქნეს; კარგ, თფილ დღეებში, კარები იქონიეთ დადებული და ცივ დღეებში დახურული.

9) ყველაზედ უმჯობესია თუ ჭიებს იყოლიეთ ქაღალდზედ, მაგრამ თუ ქაღალდს ვერ იშოვით, მაშინ გვიმრის ან სხვა გვარი საწოლი მიუცილებლად უნდა იქნეს **ძალიან ძშრალი**.

10) მიუცილებელ კანონათ უნდა იქონიოთ: თუ ყოველ დღე არა—ყოველ მეორე დღეს ნაჭამის (ან ნაგავის) უსათუოთ გადაყრა; სადაც ჭიები ზის ის ალაგი ძალიან გაასუფთავეთ, ქაღალდი (დასაჯდომი) გამოუცვალეთ და ნახმარი კი გააშრეთ შემდეგისთვის სახმარებლად.

აბრეშუმის ჭიისთვის ერთობ ცუდი ამიდები იყო ამ უკანასკნელ კვირეში: წვიმა და სიცივე; იმის მიზეზით საყაჭეშიც უთუოთ ნოტიო იქნება და, ვისაც შეუძლია, საყაჭეში, თუ ბუხარი აქვთ, ცეცხლი იქონიონ; სადაც ჭიები ჰყავთ დამჯდარი (თაროები, ჩაფრები და სხ) იქ იქა აქ რამეზედ კირი იქონიეთ დაყრილი; ბეოლის ფოთოლი მიუცილებლად ძალიან გააშვრეთ და სანამდისინაც ჭიებს დაუყრიდეთ, საყაჭეში დაიკავეთ, საყაჭის ჰაერში, და შემდეგ აკამეთ: **ფოთოლას და საყაჭეს ჭაერას სათბო ერთნაირა უნდა იყოს.** უსათუოთ ჩაფარი ჩაფარზე დაშორებული იქონიეთ ნახევარი არშინი მაინც.

ნ. მკურნალი.

ძვირფასი ამხანაგის მოგონება.*)

26 თებერვალს მიწას მიაბარეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიის VIII კლასის მოწაფე, ყველასგან საყვარელი ვალიკო აბესაძე. ის იყო ქუთაისის გიმნაზიის სალმრთო სკოლის მასწავლებლის, დეკანოზ ივლიანე აბესაძის პირმშო ვაჟი. დაიბადა შორაპნის მაზრის სოფელ ზოვრეთში 1888 წელს, 3 დეკემბერს, სადაც მაშინ მამა მისი მღვდლად და ჩხარის მაზრის მოწესრიგედ მსახურებდა.

სასულიერო სასწავლებლის დამთავრების

*) იბეჭდება ქუთაისის სა. ტ. გიმნაზიის მოსწავლეთა თხოვნით.

შემდეგ ის შევიდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში საცა ყოველად პატიოსან და მაღალ-ზნეობიან ყმაწვილათ ითვლებოდა. თვალ წინ მიდგას, თუ როგორ და რა უბრალო მიზეზისა გამო გადაემტერა მას სემინარიის მთავრობა. განსვენებულს იგეთი მიმზიდველი, დამატყვევებელი და მომხიბლავი კილო, მიმოხვრა და რიხიანი ხმა ქონდა, რომ, როდესაც ის საუბარს დაიწყებდა, ყველანი ნება-უნებლიეთ ყურადღებათ გადავიქცევოდით. ჩვენი პირველი კლასის ოთახი სამასწავლებლო ოთახზედ იყო გაკეთებული და იქიდგან ყურს გვიგდებდენ მასწავლებლები და უფროსებიც. ერთ დღეს ვალიკო მოწესრიგედ იყო და მოწაფეებს, რომ არ ეცელქათ და ეხმაურებიათ დიდი დასვენების დროს (ამინდი ცუდი იყო), ის მოგვიყვა ერთ გასართობ ისტორიას. ამ დროს ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზი რომ გაფრენილიყო, გაიგონებდით. ამ სიჩუმემ გააკვირვა თურმე სემინარიის უფროსები და მასწავლებლები. დაუგდეს ყური და იცვნეს ვალიკო აბესაძის ხმა. საუბედუროთ მასწავლებლებში ქართველთაგან არავინ დასწრებოდა და სხვებს კი მიელოთ, რომ აბესაძე რაღაც საწინააღმდეგოს უხსნის ამხანაგებს და იმიტომ ესე ყურადღებით უსმენენ ამხანაგებიო. ზოგიერთ მასწავლებლებს კიდევაც შეშურდებოდათ ეს სიწნარე და ეთქვათ: ასე რომ ჩვენ გვიგდებდენ ყურს პირველი კლასის მოწაფეებიო, აქამდის ფილოსოფოსებად ვაქცევდითო. (რასაკვირველია, როგორებიც თვითონ იყვნენ) ეს იყო და ეს! ამის შემდეგ ალმაცრივ დაუწყეს ცქერა, მეორე წელს სემენარიაში არეულობა მოხდა, სემენარია დაკეტეს ლა ვალიკო აბესაძეს და სამ სხვა მოწაფეს მიუსაჯეს უშორეს ადგილას, ასტრახანის სემენარიაში ჯადაყვანა. ასტრახანში დაყო განსვენებულმა ნახევარი წელიწადი და რადგან იმ წელში ფებერვლის თვეში ქუთაისის საოზნაურო პროგიმნაზიასთან გაიხსნა მეხუთე გიმნაზიური კლასი, განსვენებულიც აქ შემოვიდა მეხუთე კლასში და მალე დაიმსახურა საზოგადო სიყვარული, როგორც მოწაფეების საზოგადოთ კლასების განურჩევლად, ისე მასწავლებლების მხრივ. განსვენებული იყო მეტად შრომის მოყვარე და ნიჭიერი კაცი. გიმნაზიაში ყოველ კეთილ საქმის ან დამწყები იყო და ან ერთგული მომხრე ამხანაგები განურჩევლად რწმენისა და მიმართულებისა ყველანი ნდობით და სიყვარულით ექცეოდნენ 1907 წელში ფებერვალში გახდა ავად გაცივებით და ერთი წლის მძიმე ავათმყოფობისა და ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა.

გვამი მშობლების სახლიდგან, მრავალი სამღვდელოების წინძღოლით, ამხანაგებმა გამოასვენეს და დაასვენეს ეზოში, ნაშუადღევის სამ საათზედ. გამოსვენებას მრავალი საზოგადოება. განსვენებული საბა კლდიაშვილის გვამის ოდესიდგან მოსვენების შემდეგ, ქუთაისს არ ახსოვს, რომ ამოდენი საზოგადოება ვისმეს გასვენებას დასწრებოდეს. ცხედარი შემკული იყო მრავალი გვირგვინებით. სხეათა შორის შესანიშნავი იყვენ შემდეგი გვირგვინები 1) „იდეიურ ამხანაგებისაგან.“ 2) ქუთაისის საოზნაურო გიმნაზიის VIII კლასის მოწაფეებისაგან. 3) მეშვიდე კლასის მოწაფეებისაგან, 4) მეექვსე კლასის მოწაფეებისაგან, 5) მეხუთე და მეოთხე კლასის მოწაფეებისაგან, 6) ქუთაისის საეპარქიო საქალებო სასწავლებლის მოწაფეებისაგან. ანდერძის აგების შემდეგ ქუთაისის საოზნაურო გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციის სახელით ერთმა მათგანმა შემდეგი ადრესი მიართვა დეკანოზ ი. აბესაძეს: „დიდათ პატივცემულო, მ. ივლიანე! ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ყველა მასწავლებელნი გიცხადებთ უღრმეს სამძიმარს თქვენის უდროოთ დაკარგულის ძვირფასის შვილის შესახებ და შევთხოვთ უფალს, რათა გაკმაროს ეს საშინელი რისხვა და შეგიმსუბუქოს თქვენ და თქვენს ოჯახს ეგ მძიმე მწუხარება. განსვენებულ იოანეს სახსოვრათ გვირგვინს ნაცვლათ. ჩვენ გადავწყვიტეთ შევწიროთ შესაფერი წელილი ილიას ფონდს“ ამის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს მერვე კლასის მოწაფეებმა: შოთა დადიანმა და კანდელაკმა. ბატონმა შ. დადიანმა დაახასიათა ის, როგორც ბეჯითი და ნიჭიერი მოწაფე, რომლის მიზანი უყო უმაღლესი სწავლით აღჭურვილიყო მისთვის, რომ სინდისიერად შეესრულებინა აღამიანის პირ-

დაპირი მოვალეობა, გაეადვილებინა, შეემსუ-ბუქებია ფიზიკური, მატიალური და ზნეობრივი აუტანელი უღლის ტარება ადამიანისთვის სხვა და სხვა სფერაში. ბატონმა კანდელაკმა დაახასიათა ის, როგორც ყველასათვის საყვარელი, სასიამოვნო და საკარგებლო ამხანაგი. ამის შემდეგ პროცესია მწყობრად დაიძრა სასაფლაოსაკენ და ქართული გიმნაზიის ორკესტრმა დაუკრა სამგლოვიარო (ჰიმნი). გზაზე რიგრიგად გალობდენ ქართული და რუსული გუნდი და უკრავდა ორკესტრი. სასაფლაოზე მრავალი სიტყვები წარმოსთქვა. სხვათა შორის შესანიშნავი იყო მერვე კლასის მოწაფე ამხანაგის ევ. ბოკერიას სიტყვა. ბ. ბოკერიამ დაახასიათა ის, როგორც გულითადი მეგობარი. მეშვიდე კლასის მოწაფე ჟორჟოლიანმა თავის სიტყვაში ვალიკო დაახასიათა, როგორც საზოგადო ამხანაგი განურჩევლათ მიმართულებისა და რწმენისა. იმას, როგორც გიმნაზიაში, ისე შეკრებილებაში, სადაც კი დაესწრებოდა, შექონდა მხიარულება და აღფრთოვანება. ყველას აღუძრავდა გულში მამაცობას, გაბედულებას და იმედს საუკეთესო მომავალზედ. მეექვსე კლასის მოწაფე ჯ. ძიმისტარაშვილმა წარმოსთქვა გამოსათხოვარი ლექსი, რომელშიდაც გამოთქვა დიდი მწუხარება ეგეთი ძვირფასი ამხანაგის და მეგობრის უდროოდ დაკარგვის გამო. გულ-გამგმირავი იყო მშობლების და უნცროსი დან-ძმანის გამოთხოვება. მამამ სხვათა შორის უთხრა: „შვილო ვალიკო! შენ იყავ ჩემი პირველი ყვავილი და მოველოდი, რომ ღირსეულ ნაყოფსაც მოიტანდი. როდესაც ცხოვრების უღელში კისერი გავყავ და ოჯახობას შევუდექი, ჩემი პირველი ბიზნად ის დავისახე, რომ თუ ღმერთი შვილიერების ღირსს გამხდიდა, აღმეზარდა შვილები მართლ-მორწმუნეებად და მოყვასისადმი სიყვარულით გამემსჭვალა მათი სული და გული. და დღემდის ამ მიზნისადმი მივიღწვი. თუ რამდენათ მივაწიე მე შენ შესახებ ამ ჩემ მიზანს, ამას ამტკიცებენ შენი მასწავლებლები, ამხანაგები, ნაცნობები, რომლებიც გარს გახვევიან, მე შვილო, შენით კმაყოფილი ვარ, რადგან მშობლების საწინააღმდეგო არას დროს არაფერი არ ჩაგიდენია და შენი სწავლა-ყოფაქცევით მუდამ კმაყოფილნი ვიყავით და თუ ჩვენ, როგორც მშობლებმა, ჩვენი ხელმოკლეობისა, ანუ უმეცრების გამო, ისე ვერ გიპატრონეთ და მოგიარეთ, როგორც შენთვის საკარგებლო იქნებოდა, გთხოვთ გვაპატიოთ და შეგვინდო და ჩვენგანაც შენდობილ იყავ, ჩემო იმედო შვილო. აჰა შენი უმცროსი ძმები და დები უკანასკნელათ გეთხოვებიან. იქნება ამათ მაინც, ღვთის შეწევნით, გვცენ ნუგეში და შეიძლონ მოძმეთათვის თავ-დადება და სამშობლოს სამსახური. მშვიდობით შვილო ვალიკო! ღმერთმა განგისვენოს იქ, სადაცა მართალნი განისვენებენ“ საზოგადოებამ ერთად წარმოსთქვეს: „ამინ“ და გულდათუთქულნი უკან დაბრუნდენ.

მშვიდობა და განსვენება შენს ნაშთს დაუვიწყარო ძვირფასო ამხანაგო ვალიკო!

ამხანაგი ვლადიმერ კუპაიძე.

რედაქტორ-გამომცემელი მღვდელი
სიმონ მჯედლიძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი ა

პირველი თებერვლიდგან ქალაქ ქუთაისში ქ-ნ ე. მჭედლიძის სახლებში (საბურთალო — კაზაკოვის — შესახვევი № 17) გაიხსნა კერძო ოთხკლასიანი პროგიმნაზია. აქვე ამზადებენ მსურველთ სხვა და სხვა სასწავლებელისათვის და ღებულობენ სარეპეტიციოდაც.

Типографія І. Хеладзе и И. Киладзе, въ Кутаисѣ